ხელშეკრულება №79

«28« ოქტომბერი 2015 წ. ქ.გორი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და ხელშეკრულების დადების საფუძველი

1.1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში <u>შემსყიდველი</u>) გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია (მისამართი: ქ. გორი, სტალინის გამზირი №16) სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/<u>შემსრულებელი</u>**) შპს «თეგეტა მოტორსი» (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი N 5) გორის ფილიალის დირექტორის შალვა კობახიძის (მინდობილიბა #0015, გაცემული:05.01.2015წ. პ/ნ: 59001011189) სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. (CPV 501) (იხ.დანართი N1).ზეთის ღირებულება მოიცავს მისი შესვლის ღირებულებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 328.60 (სამას ოცდა რვა ლარი და სამოცი თეთრი) ლარით.

4. სამუშაოს შესრულების ვადები

4.1.შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 28 ოქტომბრიდან 2015 წლის 5 ნოემბრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.გორი, შინდისის გზატკეცილიN 2.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვიე ობიექტის ხარისხი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 28 ოქტომბრიდან 2015 წლის 15 დეკემბრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
13.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს გიორგი [illegible] – გორის, [illegible] ქარიოლის, ხაშურის მუნიციპალიტეტებს, ოს

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციაში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის აპარტის უფროსი სპეციალისტი.

13.4. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში
სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია
რწმუნებული–გუბერნატორი ზურაბ იუსიშვილი

ხელმოწერა ----------

(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:№GE24NB 0330 1002 0016 5022
საინდეტიფიკაციო კოდი: 217889514

შემსრულებელი: შპს «თეგეტა მოტორსი»
გენერალური დირექტორის მინდობილი პირი
გორის ფილიალის დირექტორი შალვა კობახიძე

ხელმოწერა ----------

(მიმწოდებლის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ -ს ცენტრალური ფილიალი
კოდი:220101830
ანგარიშსწორების ანგარიში: NGE80TB 0600 0000 2446 7853
საიდენტიფიკაციო კოდი:202177205

დანართი #1

2015 წლის 28 ოქტომბრის #79 ხელშეკრულებასთან

ფასთა ცხრილი

#	ავტოსატ.საშ. დასახელება წლოვანება	მომსახურების (საქონლის) დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	საერთო ღირებულება (ლარში)	საქონლის (მომსახურების) მიწოდების ვადა	საქონლის (მომსახურების) მიწოდების ადგილი
1	**TOYOTA LC 200** სახ.ნომრით **BKB-848 / 2013** წელი	ფილტრი ზეთის	1	26,3	26,3	28.10.2015 05.11.2015	ქ.გორი შინსისის გზატკეცილი #2
		ფილტრი ჰაერის	1	47,3	47,3		
		ზეთი ძრავის შელი 5W30	10ლ	25,5	255		
	სულ	**0**			**328,6**		

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ერთეულის ფასს

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი 28 ოქტომბერი 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის
მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებული–გუბერნატორი

ზურაბ რუსიშვილი _____

შესყიდვების კოორდინატორი და მირება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი

გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო
რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციაში
სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის
აპარატის უფროსი სპეციალისტი

გ.იაკობაშვილი _____